



ოქტომბერი,
2020 წელი

პეტიტუ დღეპიძისი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყვას წმიდა და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰკვას, გარნა განმღებულმან მან, და არავინ განაღოს დატყული იგი.“

(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოველთვიური გაზეთი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმინდესი და უნეტარესი
ილია II თბილისის
სასულიერო აკადემიისა
და სემინარიის საპატიო
დოქტორია!



5 ოქტომბერს, სიონის საკათედრო ტაძარში, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით აღვლენილ იქნა პარაკლისი.

საღმრთო მსახურება აღასრულა თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის რექტორმა, ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მოძღვრებთან ერთად.

რექტორმა დალოცა სტუდენტები, მომავალი წარმატებები უსურვა პირველკურსელებს, ქადაგებისას გიორგი ზვიადაძემ შეკრებილთ აუწყა, რომ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს გადამწყვეტილებით, სასულიერო აკადემიის დამაარსებელს, წლების განმავლობაში მის რექტორს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მიენიჭა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საპატიო დოქტორის წოდება.

შვიდგზის
ვიდოცოთ
ჩვენი
წაცრიარქისათვის

გვ. 5



გრიგოლ
კუბლაშვილმა
სადოქტორო
დისერტაცია
წარიბში დაიცვა

გვ. 6

ხსოვნა

გამოთხოვება
პროფესორ
ბრივერ
ფარულავასთან



გვ. 8

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საპატიო დოქტორია!



5 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენციაში გაიმართა ცერემონიალი, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორისთვის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებას.

ამ ღირსსახსოვარ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი არჩილ თალაკვაძე, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიტროპოლიტი შიო, პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე, ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ბოდბელის ეპისკოპოსი იაკობი, დიპლომატიური კორპუსის დუაინი, ვატიკანის ელჩი საქართველოში, ჟოზე ბეტანკური, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი გიორგი კვესიტაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ბატონი რამაზ ხუროძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ნუნუ მიცკევიჩი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი, ბატონი ზაზა მარუაშვილი, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს წევრები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვა მონაწილე სტუმრები.

ცერემონიალი გახსნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზეიდაძემ. მან ისაუბრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეპოქალური მნიშვნელობის ღვაწლზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე.

პროტოპრესვიტერი გიორგი ზეიდაძე:

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქო, თქვენო აღმატებულებავ, ქალბატონო პრეზიდენტო,

თქვენო აღმატებულებავ, პარლამენტის თავმჯდომარე,

თქვენო მაღალყოვლადუსამღვლოესობავ, საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრე, მეუფე შიო,

თქვენო მაღალყოვლადუსამღვლოესობავ, მეუფე თეოდორე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსო, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტო, თქვენო მაღალყოვლადუსამღვლოესობავ, მეუფე ნიკოლოზ, ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტო,

თქვენო მაღალყოვლადუსამღვლოესობავ, ბოდბელის მთავარეპისკოპოსო, იაკობ,

დიპლომატიური კორპუსის პატივცემულო დუაინო, ვატიკანის წმინდა საყდრის დესპანო საქართველოში, თქვენო აღმატებულებავ მონსენიორ ჟოზე ბეტანკური,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტო, ბატონო გიორგი კვესიტაძე,

მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტო, ბატონო როინ მეტრეველი,

უმაღლესი სასწავლებლების პატივცემულო რექტორებო,

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს პატივცემულო წევრებო, პროფესორ-მასწავლებლებო, ქალბატონებო და ბატონებო.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზანი ყველას მოგეხსენებათ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის საპატიო დოქტორის წოდებით დაჯილდოების შესახებ მისი განსაკუთრებული ღვაწლის გამო. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, მისი სამეცნიერო საბჭო, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები - ყველანი თვალს ვუსწორებთ ისტორიულ სინამდვილეს, ისტორიულ სიმართლეს. ეს არის ეპოქალური მნიშვნელობის რეალობა და ეპოქალური მნიშვნელობის ღვაწლი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ქვეყნისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინაშე.

ეს ღვაწლი ძალიან მრავალმხრივი და მრავალმნიშვნელოვანია. პატრიარქის მოღვაწეობის მასშტაბი შეიხო თითქმის ყველა სფეროს: იქნება ეს განათლება (უპირველესად), საეკლესიო არქიტექტურა, საეკლესიო გალობა, გამომცემლობა; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დააფუძნა საპატრიარქოს ტელევიზია და რადიო. უწმინდესმა და უნეტარესმა აღსაყდრების დღიდან მიზნად დაისახა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მოეპოვებინა ცნობისა და აღიარების სიგელი, მონუმბო, საბუთი, რაც დაადას-

ტურებდა საქართველოს ეკლესიის უძველეს ავტოკეფალიურობას და აღასრულა კიდევ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე.

აღსაყდრების დღიდან, ავტოკეფალიის საყოველთაოდ აღიარებასთან ერთად, პატრიარქის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა, რომ დაეფუძნებინა უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა, რადგან უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართული საღვთისმეტყველო აზრის აღორძინება და განვითარება და თეოლოგიური მეცნიერების, საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინება და განვითარება.

ყველას მოგეხსენებათ, რომ გელათის აკადემიიდან, იყალთოს, გრემის აკადემიებიდან მოყოლებული დიდი წყვეტა იყო. საქართველოში უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა არ არსებობდა.

და მან დააფუძნა თბილისის სასულიერო აკადემია როგორც უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა, შემდგომ გელათის მეცნიერებათა აკადემია. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დააფუძნა საერო უნივერსიტეტი ფუნდამენტური მეცნიერებების განსავითარებლად. ეს გახლავთ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, რომელიც საპატრიარქოს ეგიდით ფუნქციონირებს.

სამეცნიერო საბჭოს წევრებისთვის ძალზე რთული იყო ისეთი ტექსტი შეგვემუშავებინა, როგორც ზედმიწევნით ასახავდა პატრიარქის ამ მრავალმხრივ, მასშტაბურ და განუზომელ მოღვაწეობას და დღეს სასულიერო აკადემიისთვის, დიდი პატივია, რომ საპატიო დოქტორის წოდების შესაბამისი დოკუმენტი გადავცეთ პატრიარქს.

ჩვენ შეგვეძლო ეს ადრე გაგვეკეთებინა, მაგრამ ღვთის განგებით ეს მოხდა, სწორედ მაშინ, როდესაც სასულიერო აკადემიამ მიაღწია გარკვეულ წარმატებას რაც პატრიარქის უდიდესი ავტორიტეტით განხორციელდა. თბილისის სასულიერო აკადემიაში დაფუძნდა საღვთისმეტყველო საბჭო მართლმადიდებლურ თეოლოგიაში. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, არასოდეს საქართველოს ისტორიაში, მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, საქართველოს ეკლესიაში არ ყოფილა საღვთისმეტყველო საბჭო მართლმადიდებლურ თეოლოგიაში და ვისაც უნდოდა რომ მოეპოვებინა ხარისხი მართლმადიდებლურ თეოლოგიაში და დისერტაცია დაეცვა, იძულებული იყო, უცხოეთში წასულიყო. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც პატრიარქის დიდი ავტორიტეტით და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს წევრების და პროფესორ-მასწავლებლების შრომით და ძალისხმევით განხორციელდა.

დაფუძნდა დოქტორანტურა თბილისის სასულიერო აკადემიაში, აკადემიას დაუმტკიცდა Erasmus+ პროგრამა, რაც, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემიას აქვს სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეკრულება მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან.

პატრიარქი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, პატრიარქი გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. პატრიარქი გახლავთ აშშ-ში წმინდა ტიხონის სასულიერო აკადემიის საპატიო დოქტორი და სხვა მრავალი ქვეყნის არაერთი უმაღლესი სასწავლებლის დოქტორი. დიახ, შეიძლება ჩვენმა საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებამ მის ღვაწლს ვერაფერი შემატოს, მაგრამ, უპირველესად, ეს არის ჩვენი მხრიდან, სასულიერო აკადემიის მხრიდან, უდიდესი მაღლიერების გამოვლინება პატრიარქისადმი და უდიდესი მოწინება მისი განუზომელი ღვაწლისადმი ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე. პატრიარქმა თავად დააფუძნა, უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა და ამ სკოლის მნიშვნელობის გამო რამდენიმე წელი თავად ბრძანდებოდა მისი რექტორი.

ნება მომეცით, გაგაცნოთ ტექსტი, რომელიც ჩვენ სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოში შევიმუშავეთ:



დიპლომი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის საყოველთაოდ აღიარების, ეკლესიის აღორძინების, საღვთისმეტყველო განათლებისა და მეცნიერების განვითარების, უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის – თბილისის სასულიერო აკადემიის დაფუძნების, ქართველი ერის გამთლიანებისა და სულიერი განმტკიცების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიენიჭა ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საპატიო დოქტორის წოდება (Doctor Honoris Causa)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი,
თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი,
პროტოპრესვიტერი გიორგი ზვინაძე

თბილისი, საქართველო
2. 08. 2020 წელი“

ეს გახლავთ გრაგნილი, ქართულ და ინგლისურ ენებზე შესრულებული, რომელსაც დიდი მონივნებით გადავცემთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სიტყვით მიმართეს: საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა არჩილ თალაკვაძემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი კვესიტაძემ, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხორონყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი), ვატიკანის ელჩმა საქართველოში, ბატონმა ჟოზე ბეტანკურმა.

სალომე ზურაბიშვილი:



მოგესალმებით, თქვენო უწმინდესობავ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრევ, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, ძვირფასო სტუმრებო,

მიხარია, რომ ვიმყოფები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ისათვის საპატიო დოქტორის (ჰონორის ცაუსა) ხარისხის მინიჭების ცერემონიაზე და როგორც საქართველოს პრეზიდენტს საშუალება მეძლევა ქართული საზოგადოების სახელით მოკლედ ვისაუბრო მისი უწმინდესობის ღვაწლზე ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე.

თქვენო უწმინდესობავ, თქვენს ხელში ხელახლა დაიბადა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია, როცა ის მსოფლიო ეკლესიების ოჯახის სრულყოფილებიან წევრად აღდგა.

თქვენ შეძელით თქვენი დაუღალავი შრომით საქართველოში უამრავი ეკლესია-მონასტრის აშენება-აღორძინება.

რელიგიური განათლება ხელმისაწვდომი გახადეთ იმ დროის საქართველოს თითქმის აბსოლუტურ-

რად ათეისტურ საზოგადოებაში; რაც გამოიხატა, პირველ რიგში, სასულიერო აკადემიის დაარსებით, რასაც მოჰყვა სხვადასხვა პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებები და უნივერსიტეტები.

თქვენ შეძელით საქართველოს ეკლესიის წიაღში ქართული კულტურის შენარჩუნება და აღორძინება, იქნება ეს არქიტექტურა, სოფლის მეურნეობის დარგები, ხელსაქმე, მონუმენტური მხატვრობა, გალობა, ხატვნა, მინაწერის ხელოვნება, ოქრომჭედლობა, ნაქარგობა და სხვა მრავალი.

დაუფინანსებია თქვენი გმირობა 2008 წლის ომის დროს, როცა თქვენი მისიის წინააღმდეგ მტერიც კი უძლური აღმოჩნდა და, როგორც ჭეშმარიტმა მშობელმა და ჭირისუფალმა, ოკუპირებული ზონიდან ჩამოასვენეთ და გააპატიოსნეთ ჩვენი დაღუპული გმირები.

დიდია თქვენი ღვაწლი ამ ბოხოქარ წლებში შვილმკვდარი მშობლების ნუგეშისა და მათი ცხოვრებისთვის ახალი საზრისის მინიჭებაში.

თქვენ მფარველობთ ობოლ და უდემამო ბავშვებს, ზრუნავთ მათ აღზრდასა და განათლებაზე, ზრუნავთ საქართველოს დემოგრაფიაზე.

თქვენი დამსახურებების ჩამონათვალს არა აქვს სასრული და ეს არის ნიმუში ნამდვილი მოღვაწეობისა!

ქართული საზოგადოება აფასებს თქვენს უდიდეს ღვაწლს ჩვენი ქვეყნის წინაშე, რაც უპირველესად გამოიხატება ამ უმძიმეს წლებში სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთგულებასა და ზრუნვაში.

თქვენ დღემდე საკვირველი დათმენით ეგებებით საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ურთულეს ხვედრს.

ჭეშმარიტად მძიმეა გარდამავალ ეპოქაში საზოგადოების სულიერი წინამძღოლობა, ზრუნვა მისი სულიერი გადარჩენისთვის არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ ზოგადსაქცობრიო ჰუმანისტური იდეების ერთგულებით.

თქვენ გასწავდელი ჟამს მოგიწიათ საქართველოს სულიერი მწყემსობა. განსაცდელი არ ილე-

ვა, მსოფლიო ახალ ტურბულენტურ ეპოქაში შედის.

თქვენს ლოცვას დიდი ძალა აქვს. დღეს, როცა ჩვენი ორი მოძმე ქვეყანა ომობს და კავკასიის წმინდა მიწაზე კვლავ იღვრება ძმების სისხლი, თქვენი ლოცვა მშვიდობისთვის, მწამს, აგვაცილებს განსაცდელს და ხელახლა მოგვითმას მშვიდობას.

მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ეპოქის უდიდესი პიროვნება ბრძანდებით და ბედნიერი ვარ, რომ თქვენი ჭეშმარიტად უდიდესი მოღვაწეობის ხანაში მაქვს პატივი ვიყო საქართველოს პრეზიდენტი.

გილოცავთ დღევანდელ დღეს და თქვენს დღე-გრძელობას ვუსურვებ სრულიად საქართველოს!

არჩილ თალაკვაძე:



თქვენო უწმინდესობავ, საქართველოს პარლამენტის სახელით გილოცავთ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საპატიო ჰონორის კაუზას წოდებას!

ერისა და სამშობლოს წინაშე თქვენი ღვაწლი გამორჩეული და შეუფასებელია. თქვენი ცხოვრებით, მოღვაწეობითა და რწმენის სიმტკიცით გვაძლევთ მაგალითს, როგორ უნდა შეხედვს ადამიანი თანამედროვე გამოწვევებს. ამ ცვალებად და რთულ დროში თქვენ კეთილი სიტყვით და ქრისტიანული სწავლებით შეგვახსენებთ კაცთმოყვარეობის, თავმდაბლობის, უანგარობის და სიყვარულის მნიშვნელობას.

გისურვებთ მხნეობასა და დღეგრძელობას ჩვენი სამშობლოს სასიკეთოდ!



◀ **მეხუთე გვერდიდან**

გიორგი კვესიტაძე:



თქვენო უწმინდესობავ, დღევანდელი დღე უდავოდ სასიამოვნოა თქვენთვის, მაგრამ გაცილებით უფრო სასიხარულოა იმ აკადემიისთვის, რომელიც თქვენ დღეს გირჩევთ საპატიო დოქტორად. ძალიან გამიჭირდებოდა, რამდენი დროც არ უნდა მქონდეს, დაახლოებით მაინც შემეფასებინა თქვენი მოღვაწეობა, თქვენი განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მით უმეტეს, ამ რთულ დროს, როდესაც, ღმერთმა იცის, რა მოუვიდოდა ქვეყანას, თუ არა თქვენი ბრძნული, თავშეკავებული და გაზომილი ხელმძღვანელობა.

თქვენ ბრძანდებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. საქართველოში მეცნიერება ეკლესიიდან განვითარდა და არც ერთ ეტაპზე ეკლესიასთან კავშირი არ შეუწყვეტია. დღესაც თქვენი ბრძნული მითითებით აკადემია ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მას აკისრია. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ თქვენ ხართ ჩვენი აკადემიის წევრი, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საამაყო თემა, რაც ჩვენს აკადემიას გააჩნია. მე არა მაქვს იმის პოტენციალი, რომ გამოვხატო მადლიერება, რომელსაც მეცნიერებათა აკადემია გრძნობს თქვენ მიმართ.

თქვენ ხართ ჩვენი სიამაყე, თქვენ ხართ ჩვენი იმედი, თქვენ ხართ ჩვენი მომავალი და ძალიან დიდი თხოვნა გვაქვს, რომ აი, ეს იმედი ძალიან, ძალიან დიდხანს გაგრძელდეს. დიდი მადლობა!

მიტროპოლიტი შიო (მუჟირი):



თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, გულითადად გილოცავთ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საპატიო დოქტორობას! დღეს ჩვენ, კიდევ ერთხელ, განსაკუთრებით ვიაზრებთ იმ ღვანლს, რომელიც თქვენ ათწლეულების განმავლობაში გასწიეთ მეცნიერების წინსვლისა და განათლების ამაღლებისთვის.

თქვენ ბრძანებთ: „ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში სამეცნიერო სფერო გადამწყვეტ როლს ასრულებს. განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი ფიზიკურს, ხოლო მეორე — სულიერს?! ისინი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია, იგი ადამიანის ინტელექტის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა“.

თქვენი განსაკუთრებული ყურადღება აღსაყდრების პირველივე წლებიდან სწორედ ეკლესიისა და ინტელიგენციის ურთიერთობაზე იყო მიპყრობილი. საბჭოთა პერიოდის საზოგადოების ცნობიერებაში ეკლესიას უმნიშვნელო ადგილი ეკავა და რომ არა თქვენი შორსმჭვრეტელო მიზნები და საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის ეკლესიასთან დაახლოების დიდი ძალისხმევა, დღეს არ გვექნებოდა ასეთი მაღალი დონის საგანმანათლებლო კერები.

თქვენ მიიჩნევდით, რომ საქართველოს კულტურულ-ინტელექტუალური აღორძინება სულიერებით უნდა დაიწყო და მეცნიერებისა და ინტელიგენციის სულიერება გახდებოდა ჩვენი ქვეყნის განახლების საწინდარი.

სწორედ თქვენი ძალისხმევის შედეგია ის, რომ მრავალმა ადამიანმა სხვადასხვა სამეცნიერო დარგიდან სასულიერო სფეროში გააგრძელა მოღვაწეობა და აქტიურად ჩაერთო სხვადასხვა მიმართულების კვლევებში, სასულიერო და საგანმანათლებლო პროცესებში.

სამეცნიერო წრეებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე თქვენ ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდით, რომ „ინტელიგენცია ხალხს უნდა დაეხმაროს ჭეშმარიტების შეცნობაში; მაგრამ როგორ შეძლებს იგი ამას, თუ თავად იქნება მონყვეტილი ღვთაებრივი სიბრძნის წყაროს — ეკლესიის? ... ინტელიგენცია უნდა იქცეს მრევლის იმ ნაწილად, რომელიც ვითარცა ანთებული საწვავი, წყვდიადში მყოფ ერს ღვთისაკენ მიმავალ გზას გაუწიებს“.

თქვენ წლების განმავლობაში ხვდებოდით როგორც პრაქტიკოს მასწავლებლებს, ასევე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დარგის მეცნიერებს. თქვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებთ ღრმა აზროვნებას და მიიჩნევთ, რომ საქართველოს ნათელი მომავალი საზოგადოების განათლებასა და ცოდნაზე დამოკიდებულია.

აზრს, რომელიც ცოდნასა და რწმენას აპირისპირებს, თქვენ მაქსიმე აღმსარებლის სიტყვებით პასუხობთ: „ცოდნა, ღვთის შიშისაგან აულამგავეი, შობს ქედმაღლობას“.

თქვენი დიდი ღვაწლის, პირადი ავტორიტეტისა და დახვეწილი დიპლომატიური ნიჭის შედეგად 1988 წელს გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეს იყო იმ დიდი საგანმანათლებლო ტრადიციის აღდგენა, რომელიც საქართველოს ეკლესიას ისტორიულად გააჩნდა სხვადასხვა სამეცნიერო კერების სახით. აკადემიასთან ერთად თბილისში გადმოვიდა მცხეთის სასულიერო სემინარიაც.

1995 წელს ქუთაისში დაარსდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სემინარია, აღდგა გელათის სასულიერო აკადემია. ამავე წელს ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია.

2005 წელს თქვენ აგიორჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსად. ამავე წელს დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი — „სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება“.

2008 წელს გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

2009 წელს აჭარაში, ხულოში, გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი. ამავე წელს დაარსდა წმინდა თამარ მეფის სახელობის მედიცინის ინსტიტუტი, რომელიც 2011 წელს გადაკეთდა სასწავლო უნივერსიტეტად. ამავე წელს გაიხსნა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის საპატრიარქოს პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი.

2012 წლიდან დეკორატიული მეხალეობის ინსტიტუტი გადაკეთდა საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მეხალეობის კოლეჯად. ამავე წლიდან სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან არსებული ხალხური სიმღერისა და გალობის უმაღლესი სკოლა გადაკეთდა საქართველოს საპატრიარქოს გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტად.

ღვთისათვის თქვენი დიდი ძალისხმევის შედეგად ჩვენ გვაქვს:

- 2 სასულიერო აკადემია;
- 4 უნივერსიტეტი;
- 8 სასულიერო სემინარია;
- 6 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 22 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა;
- 12 გიმნაზია;
- 8 პანსიონი;
- 3 სამრევლო-საგანმანათლებლო სკოლა;

13 საგანმანათლებლო კვლევითი და ახალგაზრდული ცენტრი.

წლების განმავლობაში გამოიცა არაერთი საღვთისმეტყველო ნაშრომი, ჟურნალ-გაზეთი, თეოლოგიური, ფილოსოფიური და ისტორიული ხასიათის კვლევა, თუ თარგმანი.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ასეთი თავგანწირული შრომის შედეგია, რომ ქართველი მეცნიერები, მწერლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები თქვენ ერის ინტელექტუალური პოტენციალის მფარველად და დიდ მოამაგედ მიგიჩნევენ.

ყოველივე ამისათვის მადლიერების გრძნობით გამსჭვალულნი ქედს ვიხრით თქვენ წინაშე.

ღმერთმა ინებოს თქვენი სიცოცხლე მრავალსა წელსა, მრავალჟამიერ!

შოზა ბატანაშვილი:



თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, თქვენო აღმატებულება, ქალბატონო პრეზიდენტო, თქვენო აღმატებულება, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის პატივცემული წევრები, წარჩინებული პროფესორ-მასწავლებლებო და ძვირფასო სტუმრებო,

ჩემთვის, როგორც დიპლომატიური კორპუსის დუაიენისთვის, როგორც წმინდა საყდრის დესპანისთვის, ძალიან დიდი პატივია დღეს ამ ღონისძიებაზე ვიმყოფებოდე. როგორც წმინდა საყდრის დესპანმა, მინდა გადმოგცეთ თქვენი ძმის, მისი უწმინდესობის, რომის პაპ ფრანცისკეს მოკითხვა. როგორც დიპლომატიური კორპუსის დუაიენმა, მინდა გადმოგცეთ საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა პატივისცემა, მეგობრობა და თანადგომა მათი მხრიდან.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ნება მომეცით ჩემი გულის სათქმელი გადმოგცეთ. მე დიდი ხანია თვალს ვადევნებ და ვაფასებ თქვენს განსაკუთრებულ მოღვაწეობას, რაც თქვენ გასწიეთ ეკლესიისა და ხალხის წინაშე.

როდესაც თქვენ გადმოგცემთ ეს საპატიო წოდება საპატრიარქოს ამ შესანიშნავ ეზოში, ამ უძველესი ზეთისხილის ხესთან, ეს არის აღიარება თქვენი განსაკუთრებული ღვაწლისა და პატივისცემა თქვენი პიროვნებისა. ზეთისხილის ხე არის სიმბოლო მშვიდობისა და ჰარმონიისა. თქვენ სწორედ ამას ცდილობთ, მშვიდობა და ჰარმონია მოუტანოთ თქვენს ერს და მსოფლიოს. მე გისურვებთ ღვთის შემწეობას, რომ იყოს ღვთის წყალობა თქვენზე ამ სამსახურში - რაც არის ქართველი ერისა და საქართველოს სამსახური! დიდი, დიდი მადლობა!

ცერემონიის დასასრულს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დამსრწე საზოგადოებას მიმართა:

მთელი ჩემი სიცოცხლე მე ვემსახურე საქართველოს ეკლესიას. მე ვმადლობ უფალს, რომ დამაკისრა ეს მისია. მთავარი მიზანი ჩემი მოღვაწეობისა, ჩემი სულიერი შრომისა იყო მთლიანობა ქართველი ერისა, ჩვენი სახელმწიფოსი. ერთობა მეცნიერებისა და სულიერებისა - ეს არის მთავარი მიზანი, აი, ამ ერთობაში ჰპოვებს ჩვენი ერი ძალას. ყველას მადლობას მოგახსენებთ ამ დიდი წოდების მონიჭებისათვის. დალოცვილი იყავით, ჩვენთან არს ღმერთი!



სმა პრიდან

შვიდგზის ვილოცოთ ჩვენი პატრიარქისათვის

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის შესახებ საუბარი, თუ ასეთი დიდი პატივი გერგო, აუცილებელია დაინყო იმ უდიდესი, ჭეშმარიტად ისტორიული ღვაწლის გახსენებით, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს, ქართველი ერის, საქართველოს ეკლესიის და, ზოგადად, ქართული სულიერების გამოღვიძებასა და განვითარებაში.

მხოლოდ უწმინდესისა და უნეტარესის დაუღალავი ღვაწლითა და ბრძოლით გახდა შესაძლებელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენა, ასევე, საქართველოს ეკლესიის მეთაურისათვის XI საუკუნიდან პატრიარქის წოდების დადასტურება. მიუხედავად ურთულესი დროისა, თავდაუზოგავი ბრძოლით, ამავე დროს, შორს გამიზნული, თანმიმდევრული ღვაწლით, ჭეშმარიტად ღვთიური მოთმინებითა და სიბრძნით შეძლო პატრიარქმა ქართველი ერის შემოტრიალება სულიერებისაკენ, უღვთო ცხოვრებას შეჩვეული თაობების, უპირველესად, ახალგაზრდობის შემობრუნება ღვთიური გზისკენ. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ქრისტიანულ ეკლესიაში ისეთი ახალგაზრდა მრევლი არ არის, როგორც საქართველოს ეკლესიაში. ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ ახალგაზრდობით ისე გადაჭედულ ეკლესიებს, როგორც საქართველოშია. არა და, უწმინდესი პატრიარქად აღსაყდრებამდე საქართველოში სულ რამდენიმე ათეული ეკლესია მოქმედებდა და ისინიც ხალხისაგან, მით უმეტეს ახალგაზრდობისაგან თითქმის დაცარიელებული იყო. დღეს კი, მრევლის, ახალგაზრდობის ტევა აღარ არის 1500-ზე მეტ ეკლესიაში. უწმინდესის აღსაყდრების ფაშს, საქართველოს ეკლესიებში სულ რამდენიმე ათეული სასულიერო პირი მოღვაწეობდა, დღეს კი, 2000-მდე სასულიერო პირია. რამდენიმე მღვდელმთავრის ნაცვლად, დღეს საქართველოს ეკლესიაში 50-მდე მღვდელმთავარი მოღვაწეობს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პატრიარქის მცდელობით სამონასტრო ცხოვრების აღდგენასა და განვითარებას. დღეს უკვე 1000-ზე მეტი მონასტერია აღდგენილი თუ შექმნილი. უწმინდესისა და უნეტარესის დაუღალავი ღვაწლის შედეგია, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს დაწყებული და შემდგომ უკვე ურთულეს 90-იან წლებში აგებული გვირგვინი ჩვენი ეკლესიისა, წმინდა სამების დიდებული ტაძარი, შექმნილი და ამოქმედებული მსგავსად გელათისა, ალავერდისა და იყალთოსი.

ერის ასეთი მძლავრი გამოღვიძება, ღვთიური და ეროვნული ენერგიის ასეთი აღზევება, მრავალრიცხოვანი მონასტრისა და ეკლესიის ამოქმედება, უთუოდ მღვდელმსახურთა, სასულიერო მოღვაწეთა შესაბამის სიმრავლეს მოითხოვდა, მათ შესაბამის განათლებასა და მომზადებას გულისხმობდა. სწორედ ამიტომ, პატრიარქის ძალისხმევით 32 წლის წინათ, თბილისში პირველი სასულიერო აკადემია დაარსდა. როგორც სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ აღნიშნა, „მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სასულიერო აკადემიას, ეკლესიის ნიაღში შექმნილი უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის დაარსებას. სასულიერო აკადემიის გარეშე შეუძლებელია ქართული საღვთისმეტყველო აზრისა და საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინება“. პატრიარქის მოდომებითა და ძალისხმევით კიდევ

არაერთი სასულიერო სემინარია და აკადემია, სასულიერო განათლების კერა შეიქმნა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პატრიარქის ინიციატივითა და მოწოდებით საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაარსებას.

სულიერი ღირებულებებისკენ შემოტრიალების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა უწმინდესის მიერ შექმნილი საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, გაზეთი „კლიტე დავითისი“ და მრავალი სხვა ჟურნალი თუ გამოცემა.

საქართველოს პატრიარქი, ჭეშმარიტად ზეგარდმო მომადლებული სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს თანამედროვე მეცნიერების, თანამედროვე რელიგიისა და მეცნიერების, რელიგიისა და განათლების, რწმენისა და განათლების პრობლემათა სიღრმისეულ კვლევასა და შესწავლას. ამ უაღრესად აქტუალურ პრობლემატიკას მიეძღვნა მისი თაოსნობით ჩატარებული, არაერთი საერთაშორისო კონფერენცია და სიმპოზიუმი.

უაღრესად განსაკუთრებული და მრავალმხრივია პატრიარქის აზროვნებისა და შემოქმედების დიაპაზონი. ვგონებ, მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს ფაქტი, რომ რომელიმე ეკლესიის წინამძღვარს შეექმნას ისეთი უდიდესი მუსიკალური ნაწარმოები, როგორიც მის მიერ შექმნილი „ავე მარიაა“. მე მქონდა უდიდესი ბედნიერება და პატივი, ვყოფილიყავი უშუალო მონაწილე იმ პროცესისა, რომლის დროსაც იბადებოდა ეს უდიდესი ქმნილება. ეს თბილისის შემდეგ, გერმანიაში, მიუნხენში გაგრძელდა. პატრიარქს უნიჭიერესი მუსიკოსი და ლოტბარი, ბატონი სვიმონ ჯანგულაშვილი ეხმარებოდა. სწორედ იქ, მიუნხენში მოიწვია უწმინდესმა საქვეყნოდ ცნობილი იანო აღიბე-გაშვილი და სთხოვა ამ ნაწარმოების შესრულება. ასე შეიქმნა ეს მართლაც დიდი შედეგრი. ჩემი მოკრძალებული აზრით, სწორედ ასეთივე შედეგებია პატრიარქის მიერ შექმნილი საეკლესიო მუსიკის ბრწყინვალე ნიმუშები „კირიე ელეისონ“, „მოდო ჩემთან, უფალო“, „მამაო ჩვენი“ და საღმრთო ლიტურგიის არაერთი საგალობელი.

ილია II-ს ღვთის მიერ მომადლებული აქვს მხატვრობის განსაკუთრებული ნიჭიც. მის მიერ დახატული არაერთი უაღრესად საინტერესო ფერწერული ნაწარმოები, ხოლო მის მიერ შექმნილი ხატები და ფრესკები საქართველოს მრავალ ტაძარს ამშვენებს.

უწმინდესი და უნეტარესი განვლილი ურთულესი 44 წლის მანძილზე ყოველთვის ხალხთან იყო. ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებში ხალხთან რჩებოდა და მის ბედს იზიარებდა. მაშინაც კი, როდესაც მისი სიტყვა, ნათქვამი მათსავე გადასარჩენად, არ ესმოდათ და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ხვდებოდნენ და შეიგონებდნენ მას და იწყებდნენ პატრიარქისკენ სვლას და თავს პატრიარქის კალთას აფარებდნენ. სწორედ აქ პოულობდნენ ისინი სულიერ სიმშვიდესა და იმედს, დაცულობის გრძნობას. ასე იყო 9 აპრილს, ასე იყო უდიდესი ეროვნული ტრაგედიის, ძმათამკვლევი ომის დროს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს, 2008 წლის აგვისტოს უმძიმეს და ტრაგიკულ დღეებში. ხალხი, რომელი რელიგიის მიმდევარიც არ

უნდა ყოფილიყო, მიდიოდა, მიილტვოდა მისკენ, რადგან მასთან ყოფნით, მასთან სიახლოვით, მისი დალოცვით ყოველთვის მოიპოვებდა რწმენას, იმედს, სითბოსა და სიყვარულს. სრული განცდა მაქვს იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს პატრიარქი, თავის პატრიარქად, თავის ახლობელ ადამიანად მიაჩნია. მასთან სიახლოვეს და მისგან ყურადღებას თითოეული მათგანი გრძნობს, ჭეშმარიტად ღვთიურია ის ნიჭი და ძალა, რომლითაც პატრიარქი ამას ახერხებს. და მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პატრიარქების ისტორიაში, და არა მარტო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, ილია II ყველაზე უფრო სახალხო პატრიარქია.

საქართველოს სულიერი, რელიგიური და ისტორიული სინამდევების დაცვისათვის პატრიარქის გამორჩეული ღვაწლის შესახებ საუბრისას მინდა თავს უფლება მიეცე და ნათქვამი ერთი ფაქტის გავიხსენო:

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, პატრიარქმა წამოსწია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საქართველოს ეკლესიისათვის დაბრუნების საკითხი. იმ პერიოდში ასეთი მცდელობა ერთობ რთული, წარმოუდგენელი გახლდათ. მიუხედავად ამისა, პატრიარქის ძალისხმევით და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მხარდაჭერით, მაინც მოხერხდა პრობლემის მთელი სიმკვეთრით გააქტიურება. საბჭოთა კავშირს, იმ პერიოდში ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდა.

მოხერხდა საბჭოთა გენერალური კონსულის, გიორგი მარტიროსოვის თბილისში ჩამოყვანა. მან ჩამოიტანა მონასტრის შესახებ ვიდეოფილმი, რომელიც ჩვენი თხოვნით თავადვე გადაიღო. პრობლემების განსახილველად და მოქმედების პროგრამის შესადგენად პატრიარქმა მოიწვია ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები, ბატონები - ირაკლი აბაშიძე და რეზო თაბუკაშვილი. შეხვედრასა და განხილვაში მეც ვმონაწილეობდი. აღნიშნულ შეხვედრასა და შემდგომ შეხვედრებზე, ვფიქრობ, მოქმედების უაღრესად კონკრეტული და რეალისტური გეგმა შემუშავდა. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირსა და საქართველოში შემდგომში განვითარებულმა მოულოდნელმა პროცესებმა, ნაფიქრის განხორციელება შეუძლებელი გახდა. იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე ფიქრი პატრიარქს არც შემდგომ წლებში შეუწყვეტია. რუსეთში ჩემი ელჩად გამგზავრების წინ, კურთხევისათვის პატრიარქს ვეახელი. ჩვენი ერისათვის სხვა მნიშვნელოვან დავალებთან ერთად, მან მომცა კურთხევა, ახალ ვითარებაში, ახალი შესაძლებლობებით კვლავ გამეგრძელებია მოქმედებები მონასტრის დასაბრუნებლად. 1996 წლის აპრილში განხორციელდა რუსეთის პატრიარქის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. საქართველოს პატრიარქმა და რუსეთის პატრიარქმა ერთობლივი წირვა ჩატარეს სვეტიცხოვლის ტაძარში. იმავე წლის სექტემბერში კი, რუსეთის ოფიციალური ვიზიტით ეწვია ილია II. პატრიარქებმა ერთობლივი წირვები აღავლინეს, ახლა უკვე მოსკოვისა და სერგიევ პოსადის ტაძრებში. სწორედ ამ ვიზიტის დროს დამიკავშირდა მაშინ მოსკოვში მოღვაწე უკვე ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბადრი პატარკაციშვილი და მთხოვა პატრიარქი და მისი თანმხლები პირები ვწვეოდით რეზიდენციაში, რომელიც სავა მოროზოვის ცნობილ დიდებულ სასახლეში მდებარეობდა. შეხ-

ვედრისას უწმინდესმა ბატონ პატარკაციშვილს დაავალა მონაწილეობა მიეღო ჯვრის მონასტრის საქართველოსთვის დაბრუნების წმინდა საქმეში.

ბადრი დიდი სიხარულითა და მადლიერებით მიიღო პატრიარქის დავალება. შემდგომში, მათი დაახლოებისა და ურთიერთობის შედეგად, მართლაც მრავალი დიდი ეროვნული და საეკლესიო საქმე გაკეთდა. 2000 წელს, პროფესორმა თამილა მგალობლიშვილმა გერმანიაში მიაკვლია იერუსალიმის ჯვრის მონასტრისეულ წმინდა ელია წინასწარმეტყველის ფრესკას, რომელიც სავარაუდოდ მე-20 საუკუნის 70-იან—80-იან წლებში კედლებიდან ბათქაშთანადაქცეა მოჭრილი და გატანილი. 2001 წლის იანვარში პატრიარქის კურთხევით ფრესკების დასაბრუნებლად გერმანიაში გავემგზავრეთ. გადავწყვიტეთ მონასტერზე ფილმიც შეგვექმნა და ის სწორედ ამ ფრესკების ისტორიით დაგვეწყო. ჩემთან ერთად კინორეჟისორი, ბატონი ოთარ შამათავა და მისი გადამღები ჯგუფიც გამოემგზავრა. მოლაპარაკების შედეგად ჩვენ შევძელით ფრესკის დაბრუნება და საქართველოში გამოგზავნა. ეს ტექნიკურადაც ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა, რადგან ფრესკა ძალზე დიდი ზომისაა და ის ყოველგვარი დაზიანების გარეშე უნდა ჩამოგრძანებულიყო. ყველა ხარჯი, რა თქმა უნდა, ბადრი პატარკაციშვილმა გაიღო. ყველაზე ძვირად კი, რა თქმა უნდა, ფრესკის გამოხსნა მოხერხდა. პატრიარქის კურთხევით, იმავე წლის ოქტომბერში კვლავ გავემგზავრეთ გერმანიაში და ამჯერად, უკვე მეორე დიდი ფრესკის, რომელზეც წმინდა ელია წინასწარმეტყველი და ელისა წინასწარმეტყველი გამოსახული, საქართველოში ჩამოგრძანება შევძელით. მასთან ერთად გამოვიხსენით და ჩამოვგრძანეთ ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლის მე-12 საუკუნის დიდი ზომის უნიკალური ხატი. სინამდევები ორივეჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივასვენეთ, რადგან იერუსალიმის მონასტერი არა მხოლოდ საეკლესიო მოღვაწეობის, არამედ უდიდესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი იყო.

2001 წლის თებერვალში პატრიარქის კურთხევით შევექმენით სამეცნიერო ექსპედიცია ინდოეთში, გოაში, ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების მოსაძიებლად. ეს იდეა ეკუთვნოდა ჯერ კიდევ რეზო თაბუკაშვილს. სწორედ მან დაიწყო 1980-იან წლებში ექსპედიციის მომზადება და სათანადო ნებართვებიც მიიღო ინდოეთის მთავრობისაგან. მან პირველმა მოინახულა გრასას ტაძარი, რომელშიც წმინდა ნაწილები უნდა ყოფილიყო დაბრძანებული. პატრიარქის კურთხევით, სწორედ ბატონი რეზოს ანდერძის შესასრულებლად ჩამოვყავალიბეთ მე და ლაშა თაბუკაშვილმა ექსპედიცია და გოას გავემგზავრეთ. ექსპედიცია, ამ შემთხვევაშიც ბადრი პატარკაციშვილმა დააფინანსა. მიუხედავად ჩატარებული დიდი საკვლევი და საძიებო სამუშაოებისა, წმინდა ნაწილების მიგნება შეუძლებელი აღმოჩნდა. ექსპედიციამ დაადგინა მხოლოდ ის ადგილი, სადაც ისინი თითქმის 400 წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყვნენ დასვენებული. ამასთან, ბევრი სხვა, მანამდე უცნობი ისტორიული დეტალის დადგენაც შევძელით. პატრიარქმა, რომელიც თითქმის ყოველდღე ტელეფონით გააძლევდა რჩევებს, მიიჩნია, რომ ის



◀ მახუთი გვერდიდან

მინა, სადაც წმინდა ნაწილები იყო დასვენებული, ისეთივე სინამდევა, როგორც თვითონ ის ნაწილები. იგივე რჩევა მოგვცა მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა ჩვენს ექსპედიციას. წმიდა მინა მართლაც ჩამოვასვენეთ და სიონის საკათედრო ტაძარში მივაბრძანეთ. უწმინდესმა, სიონში საგანგებო პარაკლისიც გადაიხადა.

საქართველოს პატრიარქის უდიდესი ღვაწლის აღწერა და შეფასება, რა თქმა უნდა, სრულად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ქართველთა მომდევნო მრავალი თაობა თუ შეძლებს და ისიც, მხოლოდ ნაწილობრივ. მიუხედავად ამისა, პატრიარქს ბევრჯერ უბრძანებია, რომ თუ თავის ნამოღვაწარში რამეს უპირატესს გამოარჩევდა, ეს უპირველესად საქართველოში შვიდგზის ლოცვის დაწერგვა. მან თავადვე შექმნა ეს ლოცვანი, შესაბამ-

ისი ტროპარები და დღეს საქართველოს ეკლესიის მრავალრიცხოვანი მრევლი ასრულებს შვიდგზის ლოცვას. პატრიარქი გვეუბნება, უფალმა ბრძანა, ორი-სამი ადამიანი თუ შეიკრიბება ჩემი სახელით, მეც მათთან ვიქნებიო, ამიტომ მთელი მრევლის ერთდროულ ლოცვას ხომ განუზომლად დიდი ძალა ექნებაო. დღეში შვიდჯერ, დღე და ღამ, ლოცულობს პატრიარქი საქართველოსთვის, თითოეული ჩვენგანისთვის. ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენც ვილოცოთ ჩვენი პატრიარქისთვის, მისი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისთვის. შვიდგზის ლოცვა მთავრდება სიტყვებით: „უფალო დიდება შენდა, ღმერთო გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო“. მოდი, ამ სიტყვებს დავამატოთ - ღმერთო ჯანმრთელად გვიმყოფე და გვიღვებოდა ჩვენი პატრიარქი ილია II.

პაპა ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი



სურათზე: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ირაკლი აბაშიძე, საბჭოთა კავშირის კონსული ისრაელში გიორგი მარტიროსოვი, ვაჟა ლორთქიფანიძე, რეზო თაბუკაშვილი. 1988 წლის სექტემბერი

სამაგისტრო ნაშრომების დაცვა

9 ოქტომბერს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიისაში ჩატარდა მაგისტრატურის კურსდამთავრებულის ვაჟა მჟავიას სამაგისტრო ნაშრომის დაცვა თემაზე: „სინამდევის განახლების წესის ძირითადი ასპექტები თანამედროვე ღვთისმსახურებაში.“

ნაშრომი შესრულდა ლიტურგიკისა და სამოძღვრო ღვთისმეტყველების კათედრაზე, კათედრის გამგის - თეოლოგიის დოქტორის, არქიდიაკონ დემეტრე დავითაშვილის ხელმძღვანელობით. ნაშრომის რეცენზენტია ისტორიის დოქტორი, დეკანოზი თეიმურაზ თათარიშვილი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა, რეცენზენტმა და კომისიის წევრებმა ნაშრომი უმაღლესი ქულით შეაფასეს.

ვაჟა მჟავიას ნაშრომის მიზანს წმინდადგენდა შეძლებისდაგვარად იმ ნაკლოვანების შევსება, რასაც ქართულენოვანი კვლევითი სივრცე განიცდის ლიტურგიკის მიმართულებით. მაგისტრანტმა შეისწავლა ისტორიული წყაროები, რომელთა მოძიებისას კიდევ უფრო გამოიკვეთა საკვლევი საგნის მნიშვნელობა.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა მრავალი საინტერესო დეტალი.

პირველ თავში „პირველშენიშნულ ძღვენთა ლიტურგიის ავტორის ვინაობა“ - აღწერილია წმინდა გრიგოლ დიალოლონის მოკლე ბიოგრაფია და განხილულია საკითხი ლიტურგიის განგების მისდამი, როგორც ავტორისადმი კუთვნილების შესახებ. როგორც კვლევამ აჩვენა, სხვადასხვა დროს, ავტორობა მიეწერებოდა ეკლესიის რამდენიმე წმინდა მამას: ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, იოანე ოქროპირს... დასავლეთის დიდმა მოღვაწემ „რომაელებს მოუწესრიგა სრული ლიტურგიის აღსრულების წესი დიდ მარხვაში“ და პირველშენიშნულთა ლიტურგია დაანესა დიდ პარასკევს, მოგვიანებით კი სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელიც ნაჩვენებია თემაში, სწორედ მის სახელს დაუკავშირდა აღნიშნული ლიტურგიის ავტორობა აღმოსავლეთშიც.

მაგისტრანტი ასევე შეეცადა წარმოედგინა ისტორიული წყაროები განსახილველი ლიტურგიის წარ-

მოშობის თაობაზე - როგორ მიიღო ლიტურგიამ დღევანდელი სახე და როგორ ჩამოყალიბდა წმინდა ძღვენით შინ თვითზიარება საეკლესიო წეს-განგებად. გამოყენებულია მნიშვნელოვანი „ბარბერიონის ევქოლოგიონი“, რომელიც სხვა მრავალი კუთხითაც საინტერესოა მომავალი კვლევებისთვის. ყურადღება გამახვილებულია წმინდა გრიგოლის საკრამენტარიებზე გამოყენება, სადაც ნაჩვენებია როგორ აღასრულებდა წმინდა პაპი



პირველშენიშნულთა ლიტურგიას დიდ პარასკევს. ეს წესი დღემდე დაცულია ლათინთა შორის.

კვლევამ, - როგორ მიმდინარეობდა საღვთისმეტყველო ტექსტთა თარგმნა და მათი რედაქტირება, სხვადასხვა ეპოქაში - ცხადყო ლიტურგიკის სფეროში კვლევათა წარმოების მნიშვნელობა. წარმოჩინდა ის ძვირფასი საუნჯე, რომელიც აქვს ქართველ ერს უძველესი ხელნაწერის სახით.

„იერუსალიმური ლექციონარის“, პეტრინონის ქართული მონასტრის ტიპიკონის, წმინდა გიორგი მთაწმინდელის „დიდი სვინესარის“ და ასევე არაქართული წყაროების გაცნობამ, მაგისტრანტს აჩვენა, ძველი და მეტად საინტერესო ტრადიცია, რომელიც დასავლეთის მსგავსად არსებობდა აღმოსავლეთ საქრისტიანოშიც - დიდ პარასკევს პირველშენიშნულ ძღვენთა ლიტურგიის აღსრულება, რომელიც შემდგომ გაუქმდა საბანძინდის ტიპიკონის გავლენით.

მცირე მოცულობის თავში: „საღვთისმეტყველო წიგნთა ბეჭდვა და მიტროპოლიტი პეტრე მოვილა“ - ნაჩვენებია მღვდელმთავრის მოღვაწეობის ის მცირე პერიოდი, რომელიც უშუალო კავშირშია განსახილველ საკითხთან. მის მიერ წარმოებული საგანმან-

თლებლო მოღვაწეობისას მრავალი ლათინური წესი შემოვიდა ჯერ სლავურ, მისი გავლენით კი ქართულ საღვთისმსახურო წიგნებში. ამ გავლენების შესახებ აღნიშნულია ქართულ კონდაკშიც და ამის შესახებ საუბრობს დიდი ქართველი მეცნიერი კორნელი კეკელიძე.

მაგისტრანტმა აჩვენა ბერძნულ ხელნაწერებთან ძველ ქართულ ხელნაწერებში თანხვედრილი ის განსხვავებები, რომლებიც არ გვხვდება თანამედროვე კონდაკში. საინტერესო იყო მუშაობა XVI საუკუნის გელათურ გრაგნილზე (კ-657), რომლის ტექსტიც უფრო ძველია, დაახლოებით XII საუკუნისა, ხელნაწერიდან გადმოღებულია ერთ-ერთი განგება: „საღმრთო განახლება სინლინდისა წმინდისა და ღმერთშემოსილისა დიდისა ბასილის.“ აღნიშნული ტექსტი შეიცავს დღევანდელი ღვთისმსახურებისთვის უცხო ელემენტებს: კვეთა, მოხსენიება, ხელთდასხმა. გელათური გრაგნილისთვის დამახასიათებელია სხვაობები ბერძნული ხელნაწერებისგან. მისი ანალოგი არც სხვა ქართულ ხელნაწერებში გვაქვს.

თავში „სინამდევის განახლების წესი და წმინდა ბარძიმი“ - განხილულია ის ცვლილებები, რომლებიც განიცადა საღვთისმეტყველო ტექსტებმა დღევანდელ დღემდე. განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა პირველშენიშნულთა ლიტურგიის განგებას. ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პირველშენიშნულთა ლიტურგიაზე ბარძიმის კურთხევა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მექანიკურ რაიმე ქმედებას, არამედ საუბარია მთელ მსახურებაზე, ვინაიდან კურთხევას აღასრულებს ღმერთი კანონიკურად ხელდასხმულ სამღვდელთა თხოვნით. არსი არის არა უბრალოდ კონტექსტში, არამედ საეკლესიო წესში. პირველშენიშნულ ძღვენთა ლიტურგია არის განგება, რომელიც საეკლესიო ერთობაში აღესრულება.

ძველ წყაროებში ბარძიმის კურთხევის ფაქტობრივი მოუხსენიებლობა, მაგისტრანტის თვალთახედვით, სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი მოვლენა არ არსებობდა, ვინაიდან გასაკუთრებული ყურადღება ყოველთვის ეთმობოდა ეკლესიისთვის საჭირობოტო და

დამაზიანებელ საკითხებს, ხოლო ის, რაც ბუნებრივია და საეკლესიო ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი, ნაკლებადაა განხილული და გარდამოცემის ძალით განფენილია ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა უცხოენოვან წყაროებს.

12 ოქტომბერს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიისაში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა კიდევ ორი სამაგისტრო ნაშრომის დაცვა გაიმართა.

ვახტანგ ქურდაშვილმა წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი - „წმინდა ბასილი დიდის „მარხვისათვის სიტყუაი-ა“ (წმინდა ეფრემ მცირისეული თარგმანი).

ჰომილია იმითაა უნიკალური, რომ ქართულ ენაზე არსებობს მისი სამი თარგმანი: წინათონური, წმ. ეფთვიმე ათონელისა და წმ. ეფრემ მცირისა.

მეცნიერ-ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა მაია რაფაევამ, რეცენზენტმა - თეოლოგიის დოქტორმა ირაკლი ორჟონიამ და კომისიის წევრებმა ნაშრომი დადებითად შეაფასეს.

ვახტანგ ქურდაშვილმა სადიპლომო ნაშრომად აირჩია ძველი სასულიერო მწერლობის ერთი ძეგლი, რომელიც გამოქვეყნებული არ არის: წმ. ბასილი დიდის პირველი ჰომილია მარხვის შესახებ, წმ. ეფრემ მცირის თარგმანით.

შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ეს ტექსტი მხოლოდ წმინდა ეფრემ მცირის თარგმანით არ არის ქართულ სასულიერო მწერლობაში წარმოდგენილი, არსებობს მისი ორი ადრეული თარგმანიც: წინათონური და წმ. ექვთიმე მთაწმინდელისა.

მეცნიერთათვის და მკვლევართათვის ცნობილია რამდენად უნიკალური მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ტექსტს, რომლის სხვადასხვა დროის სამი თარგმანი არსებობს, რაც იძლევა საშუალებას ამ თარგმანების მიხედვით დადგინდეს, რა ეპოქაში რა მოთხოვნები იდგა მთარგმნელთა წინაშე და რა ტექნიკით ითარგმნებოდა ტექსტები. ამ მიზნით ეფრემისეული თარგმანი მაგისტრანტმა შეადარა ძველ ქარ-



◀ მკაცრი გვერდიდან

თულ თარგმანებს და უპირობოდ დადასტურდა, რომ წმინდა ეფრემ მცირის თარგმანი არის ყელაზე მეტად ზუსტი და სიტყვა-სიტყვით მიყვება ბერძნულ ორიგინალს.

ექვთიმესეული თარგმანი ორიგინალს შინაარსობრივად მიყვება, მაგრამ ფორმების მხრივ განსხვავებულია და მთარგმნელის მეტი თავისუფლება შეინიშნება, რაც შეეხება წინათონურ თარგმანს, ის საკმაოდ განსხვავებულია, ახლოს არის ზოგჯერ ეფრემ მცირის თარგმანთან, ზოგჯერ ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანთან და ზოგჯერ დამოუკიდებელია. ამ სამი თარგ-



მანის შედარებით, გარკვეულად გამოიკვეთა სამი დროის სხვადასხვა მთარგმნელის მთარგმნელობითი ხელოვნება.

აღნიშნული ძეგლი მდიდარია

საღვთისმეტყველო და ზნეობრივი შინაარსის სწავლებებით.

მაგისტრანტის აზრით, კარგი იქნება სამივე ქართული თარგმანისა და ბერძნული ორიგინალის ერთმანეთის პარალელური სვეტების სახით გამოქვეყნება, რათა გამოჩნდეს მათ შორის მსგავსება-განსხვავებებს.

რატი სტურუას სამაგისტრო ნაშრომს წარმოადგენდა - „წმინდა მარკოზ მონაზონის ასკეტური ეპისტოლის ძველი ქართული თარგმანი“.

მაგისტრანტის მიზანი იყო აღნიშნული ეპისტოლის კრიტიკული ტექსტის დადგენა და მისი ფილოლოგიურ-თეოლოგიური ანალიზი.

მეცნიერ-ხელმძღვანელმა პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრის გამგემ, ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა ედიშერ ჭელიძემ, რეცენზენტმა – თეოლოგიის დოქტორმა ირაკლი ორჟონიამ და კომისიის წევრებმა ნაშრომი დადებითად შეაფასეს.

რატი სტურუას კვლევის მიზანი იყო წმინდა მარკოზ მონაზონის ნაშრომის - „ეპისტოლე წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზისი თასისა მონაფისა ნიკოლას მიმართ, ფრიად სასურველისა შვილისა ნიკოლას მიმართ მარკოზის მიერ

მონაზონისა“- ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დადგენა. თარგმანი შესრულებულია წმ. ექვთიმე ათონელის მიერ. გარდა ამისა, მაგისტრანტს მოუხდა ქართული თარგმანის საკმაოდ საფუძვლიანი შედარება ორ ბერძნულ ტექსტთან, ესენია ჟ. მინის პუბლიკაცია (Patrologia Graeca) (PG.) და ე.წ. „ფილოკალია.“

თარგმანის ბერძნულ ტექსტთან შედარებით წარმოჩნდა, რომ ექვთიმესეული თარგმანი საკმაოდ ახლოსაა ბერძნულ დედანთან. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ექვთიმე ათონელი თარგმანისას უცნობ სხვა ბერძნულ ნუსხასაც იყენებდა.

მაგისტრანტმა კვლევის უპირველეს მიზნად მიიჩნია აღნიშნული ეპისტოლედან გარკვეული საღვთისმეტყველო ტერმინების გამოკრება და ანალიზი.

ასევე კვლევის საგანს წარმოადგენდა ექვთიმე ათონელის ეპოქის ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია ბერძნულთან მიმართებით, რაც, გარკვეულწილად, ჩამოყალიბების პროცესში იყო. აქედან გამომდინარე, ნაშრომში, მოცემული ეპისტოლის ექვთიმესეული თარგმანისა და ბერძნული დედნის ურთიერთმიმართებაზე დაკვირვების საფუძველზე, მაგისტრან-



ტი შეეცადა აესახა იმდროინდელი ტერმინოლოგიური ძიებების მდგომარეობა.

აგრეთვე რატი სტურუას მოუხდა მარკოზის ეპისტოლისა და იოანე სინელის ნაშრომის „კიბე ანუ კლემასის“ ტერმინოლოგიური შედარება, ამ ნაშრომთა ასკეტური სწავლებების სიახლოვიდან გამომდინარე, აშკარა იყო ტერმინთა ერთობა და აზრობრივი მსგავსება. აქედან ცხადი ჩანს მარკოზის სწავლების გავლენა იოანე სინელის სწავლებაზე.

კრიტიკული აპარატის გარდა, ტექსტს ახლავს, აგრეთვე ლექსიკონი და, რაც მთავარია, საკმაოდ ვრცელი მსჯელობა-ანალიზი, სადაც განხილულია საღვთისმეტყველო ტერმინები და დებულებები. ცალკეული ტერმინებისა თუ მონაკვეთების დასაზუსტებლად გამოყენებულია ბერძნული ტექსტის რუსული და ინგლისური თარგმანებიც გამოყენებულია.

ბრიგოლ კუბლაპვილმა სადოქტორო დისერტაცია პარიზში დაიცვა

თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის კურსდამთავრებულთა ნაწილი წარმატებით აგრძელებს სწავლას და მოღვაწეობას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. სასულიერო აკადემიის კედლებიდან საგანმანათლებლო ასპარეზზე უცხოეთში წასული ახალგაზრდების მიღწევები გვიმტკიცებს რწმენას, რომ ჩვენი სასწავლებლიდან მომავალშიც ბევრ კურსდამთავრებულს შეეძლება უცხოეთში ცოდნის ამაღლება და მოღვაწეობა.

ამჯერად მოგიტხრობთ ერთ მათგანზე, ვინც უკვე მოიპოვა თეოლოგიის დოქტორის ხარისხი.

21 ოქტომბერს, პარიზში, წმინდა სერგი რადონეჟელის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტში, გრიგოლ

კუბლაპვილმა, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თეოლოგიაში. საფრანგეთში წასვლამდე მაგისტრატურის კურსი თბილისის სასულიერო აკადემიაში დაასრულა, 2016 წელს გამოცდები ჩააბარა პარიზის წმინდა სერგი რადონეჟელის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის დოქტორანტურაში.

ოთხი წლის ნაყოფიერი შრომის შედეგად მოამზადა სადოქტორო დისერტაცია. სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია წმინდა სერგი რადონეჟელის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის საპატიო პროფესორი იოსებ ვან როსუმი. სადისერტაციო კომისიის

სხდომას თავმჯდომარეობდა წმინდა სერგი რადონეჟელის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის დეკანი, პროფესორი, დეკანოზი ნიკოლა ჩერნოკრაკი, ოფიციალური ოპონენტები იყვნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე; სორბონის უმაღლესი სკოლის რელიგიური მეცნიერებების განყოფილების დეკანი, პროფესორი ვასა კონტუმა და წმინდა სერგი რადონეჟელის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის პედაგოგი, პროფესორი იულია ნაეტვიდოვიჩი.

რადამცია დაუპაპვირდა პარიზში ბრიგოლ კუბლაპვილს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას:

მოკლედ გვიაბეთ თქვენი ბიოგრაფია, როდის გახდით მრევლის წევრი, ვინ იყო თქვენი მოძღვარი?

დავიბადე 1985 წლის 8 ნოემბერს, თბილისში. დავამთავრე თბილისის 47-ე საშუალო სკოლის 9 კლასი და შემდეგ მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი. 2008 წელს დავასრულე თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტი. 2009 წლიდან წავედი საფრანგეთში ენის შესასწავლად. 2011 წელს ჩავირიცხე სენ-დენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მესამე კურსზე, მაგრამ სწავლა არ დამისრულებია და 2012 წელს დაგბრუნდი საქართველოში.

გვიაბეთ სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდზე

2012 წელს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ჩემი მოძღვრის, პარიზის წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანტონ კანდელაკის კურთხევით, ჩავაბარე თბილისის სასულიერო აკადემიაში.



მიუხედავად იმისა, რომ მედავითნეობის სამწლიანი გამოცდილება მქონდა და არც პირველი სასწავლებელი იყო ჩემთვის, სასულიერო აკადემიაში სწავლა თავიდან ძალიან გამიჭირდა. სემინარიაში არ მისწავლია და იყო საგნები, რომლებზეც ვერც წარმოვიდგენდი, თუ მათი სამეცნიერო დისციპლინის სახით შესწავლა შეიძლებოდა (მაგ, ასკეტიკა). მაგრამ დროთა განმავლობაში, პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან, ჯგუფელებთან დაახლოების და დამეგობრების შემდეგ, სირთულეების დაძლევა მოხერხდა და აკადემია დარჩა საუკეთესო სტუდენტურ გამოცდილებად. დიდი სურვილი მაქვს, რომ თბილისის სასულიერო აკადემიასთან კავშირი შევინარჩუნო.

შემდეგ იყო ისევ საფრანგეთი...

თბილისის სასულიერო აკადემიის მაგისტრატურის დასრულების შემდეგ, მქონდა სურვილი სწავლა გამეგრძელებინა დოქტორანტურაში, პატრისტიკის კუთხით, რაშიც გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ბატონ ედიშერ ჭელიძის ლექციებმა. სამწუხაროდ, 2015 წელს, როდესაც მე დავასრულე სწავლა, არ იყო დოქტორანტურაში პატრისტიკის მიმართულებით ჩარიცხვის საშუალება და სხვა ოჯახური გარემოებების გათვალისწინებით, გადაწყვიტე, სწავლა გამეგრძელებინა საფრანგეთში. 2015 წლის ბოლოს ჩამოვედი საფრანგეთში, დაუკავშირდი წმინდა სერგი რადონეჟელის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის ადმინისტრაციას და შემდეგ ამ სასწავლებლის ერთ-ერთი პროფესორი დათანხმდა, რომ ყოფილიყო ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელი. დისერტაციის თემად შევარჩიეთ ლეონტი ბიზანტიელთან დაკავშირებული პრობლემატიკა და სასწავლებელში

ჩავირიცხე 2016 წელს. დოქტორანტურის სამი კურსი დავასრულე 2019 წელს და 2020 წლის 21 ოქტომბერს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია ლეონტი ბიზანტიელის პიროვნებისა და სწავლების შესახებ. რადგან დისერტაციის ერთი ნაწილი, ერთ-ერთი თხზულების ქართულ თარგმანსაც შეეხებოდა, მქონდა სურვილი, რომ ერთ-ერთი ოპონენტი თბილისის სასულიერო აკადემიის წარმომადგენელი ყოფილიყო და როდესაც ამ თხოვნით დაუკავშირდი აკადემიის ადმინისტრაციას, ჩემდა სასიხარულოდ, აკადემიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დამთანხმდა, რომ ყოფილიყო ჩემი ოპონენტი. დისერტაცია შეფასდა ფრანგული სტანდარტით უმაღლესი შეფასებით - Mention très honorable avec félicitations დუ ჯურე - რაც გულისხმობს, რომ ის კორექტირების გარეშე მზადაა გამოსაქვეყნებლად.

როგორია წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიის მრევლის რაოდენობა, ეკლესიის მნიშვნელობა იქ მყოფი ქართველებისათვის

წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესია 2009 წელს აკურთხა ჩვენმა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი ანტონ კანდელაკი და მაქვს პატივი, რომ დაარსების დღიდან ვიყო დაკავშირებული ამ ტაძართან. მამა ანტონის კურთხევით აქ დავიწყე მედავითნეობის შესწავლა. ტაძარს საკმაოდ დიდი მრევლი ჰყავს და ქართული ემიგრაციის ზრდის პროპორციულად, მისი მრევლის რაოდენობაც იზრდება. ეს არის ტაძარი, რომელსაც მისი უშუალო ფუნქციის გარდა, შეთავსებული აქვს ქართული



◀ მუშაობა გეგმავდა

კულტურის გავრცელების ფუნქცია, ტაძრის მგალობელთა გუნდის ბაზაზე შექმნილი საკმაოდ წარმატებული ანსამბლი „თამარიონი“ და საკვირაო სკოლა პატარებისთვის.

მკითხველებს გავაცნოთ თქვენი ოჯახი.

მეუღლე, ცისანა გოგინაშვილი, გავიცანი საფრან-

გეთში, ჯვარი დავიწერეთ 2009 წლის 13 ივნისს. ამჟამად მას დასრულებული აქვს ფრანგული ლიტერატურის მაგისტრატურა და სწავლობს დოქტორანტურის მეორე კურსზე. გვყავს ორი შვილი, ლევანი (3 წლის) და ტიმოთე (დაიბადა სულ რამდენიმე დღის წინ, 17 ოქტომბერს).

ტიმოთე თქვენი დისერტაციის დაცვის მშვე-

იერი მეკვლე აღმოჩნდა. ვუსურვებთ მას და მის ძმას - ლევანს, მომავალში ღირსეულად გაეგრძელებინოთ მამის ტრადიცია.

ესაუბრნენ გივი შეყილაძე და თამთა გრიგალაშვილი

ხსოვნა


გამოთხოვა პროფესორ ბრიკარ ფარულავასთან

ამ ზაფხულს, აგვისტოში, გარდაიცვალა ღვანლმოსილი მეცნიერი, ქართველოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, პროფესორი გრიგორ ფარულავა.

ბატონი გრიგორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი, წლების განმავლობაში მუშაობდა უნივერსიტეტის პრორექტორად სასწავლო დარგში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, სადაც იგი უწარიანად ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას.

15 აგვისტოს, ბატონი გრიგორის მახათის მთის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის დღეს, სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართა გრიგორ ფარულავას პანაშვიდი და მას წესი აუგეს. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირებთან ერთად პატივი მიაგეს საზოგადოების წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა, კოლეგებმა და მისმა აღზრდილმა ყოფილმა და ახლანდელმა სტუდენტებმა.

გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს მეუფე გრიგოლ კაციაშვილმა და მეუფე დანიელმა. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ.



პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე: ბატონი გრიგორი ჭეშმარიტად გამოჩენილი პიროვნება იყო. ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის წლების წინ პატრიარქმა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. ამჟამად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამძიმრის წერილი გაუგზავნა მისი ოჯახის წევრებს და ნათესავებს.

დღეს აღვაგვლინთ ლოცვებს ბატონი გრიგორის სულისათვის, რათა უფალმა მიანიჭოს მშვიდობა, ვუერთდებით ოჯახისადმი პატრიარქის ნუგეშს და მთელი სასულიერო აკადემია ვლოცულობთ მისი სულისათვის.

მეუფე ბრიგოლი (კაცია)

ღმერთმა აცხონოს სული შესვენებულისა მონისა გრიგორისა და დაანსოს იქ, სადაც მისი საყვარელი წმინდანები განისვენებენ, ის საყვარელი წმინდანები, ვისზეც ჩვენ გვიკითხავდა ლექციებს და რომელთა ცხოვრებითაც ცხოვრობდა თვითონ. ეს ადამიანი იყო ასაკეტი, იყო ჭეშმარიტი მეცნიერი, ემსახურებოდა ღმერთს, სამშობლოს, ადამიანს. მე დამამახსოვრდა მისი ლექციებიდან ასეთი სიტყვა ქართული ჰაგიოგრაფიიდან: „ტანჯვა-სიხარული არა მარტო ამ წუთისოფელში გვასწავლიდა რა არის ქრისტიანობა, ქართველობა, არამედ ამ წუთისოფელში, ამ ტანჯვაში უნდა დავინახოთ სიხარული ჭეშმარიტი.“ თვითონ ცხოვრობდა ამით და ამას თვითონ გვასწავლიდა ჩვენ. ღმერთმა აცხონოს ეს მეგრძოლი ადამიანი, ჭეშმარიტი მეცნიერი, ჭეშმარიტი ქრისტიანი.

მეუფე დანიელი:

ქრისტეს მიერ საყვარელნი მამანო, დედანო, ძმანო და დანო, დღეს ჩვენ ვლოცულობთ ჩვენი ერის და ეკლესიის გამორჩეული მოღვაწის, დიდი მეცნიერის, დიდი პედაგოგის, თაობების აღმზრდელის, ქრისტიანობის მქადაგებლის, აღმსარებლის, მონისა ღვთისა გრიგორის სულისათვის, რათა უფალმა სული მისი დაანსოს ადგილსა ნათლისა, ადგილსა მწვანელოვანსა, ადგილსა განსასვენებელსა, სადაცა მართალნი განისვენებენ. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ არ ტოვებს ჩვენს ერს ისეთი ადამიანების არსებობის, მოღვაწეობის, ღვაწლის გარეშე, როგორიც ბრძანდება ბატონი გრიგორი. ბატონი გრიგორი მოღვაწეობდა მეტად რთულ პერიოდში, როდესაც შეზღუდული იყო არა მარტო ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება, არამედ ეროვნული ფასეულობების სრულყოფილად წარმოჩენაც იყო შეზღუდული და მიუხედავად ამისა, იგი უშიშრად, დაუფარავად, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ზრდიდა თაობებს და მათ ზრდიდა წმინდა წერილის საფუძველზე, ჰაგიოგრაფიის საფუძველზე, ქადაგებდა ჭეშმარიტ ქრისტიანობას და არ იყო ძალა, რომელიც მას გააჩერებდა, იმიტომ, რომ იგი იყო ღვთის მსახური, ღვთის ნების აღმასრულებელი და, რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია ბატონი გრიგორი უკვე ზრდიდა მომავალ სასულიერო პირებს და, შეიძლება ითქვას, რომ უდიდესი ნაწილი საქართველოს ეკლესიის მრევლისა, და შემდეგ მომავალი სამღვდელოებისა,

რომელმაც ხმა ისმინა ჩვენი პატრიარქისა, ბატონი გრიგორის მომზადებულებაც არის. ჩვენ ხშირად ვივწყებთ, რომ სწორედ ასეთი ადამიანების წყალობით გადარჩა ის ფასეულობები და ღირებულებები, კომუნისტური რეჟიმის დროს რომ იდევნებოდა. დღესაც, როდესაც ქრისტიანული სარწმუნოება და ჩვენი ეროვნული ფასეულობები საკმაოდ დიდ ზეწოლას განიცდიან, რამეთუ თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო და უფრო სცილდება ამ ფასეულობებს, დღესაც ბატონი გრიგორის არსებობა, ღვაწლი არის უმნიშვნელოვანესი და, შეიძლება თამამად ითქვას, რომ პატრიარქის გვერდით მყოფ, საერო მოღვაწეთა შორის მას უკავია გამორჩეული ადგილი.

ძალიან სიმბოლურია, რომ მისი დაკრძალვის დღეს არის ხსენება ცნობილი დიდი მოაზროვნისა, ღვთისმეტყველისა და თაობების დიდი აღმზრდელისა გამალიელისა. იგი იყო იუდეველი, რომელიც ასწავლიდა, რასაკვირველია, იუდაიზმს, მაგრამ იყო იმ რჩეულთა შორის, რომელთაც შეიცნეს ჭეშმარიტება, ქრისტე. აღიარეს იგი და მიიღეს და მან აღზარდა და მოამზადა მრავალი ადამიანი, იმისთვის, რომ მათ ქრისტე ენამათ. დღეს შევთხოვთ დიდ წმინდანს, გამალიელს, დალოცოს მან ბატონი გრიგორის სული და ასევე ყველა დიდ განმანათლებელს ეთხოვთ, დალოცონ მისი უკვდავი სული და გაახარონ.

ჩვენ ერთი რამ გვაკინცდება, რომ ასეთი ადამიანების გარეშე, ძალიან გაუჭირდებოდა თანამედროვე ქართველ საზოგადოებას იმ წინააღმდეგობის გაძლევა, რომლის გაძლევაც დღეს მას უწევს, როგორც ქრისტიანული, ასევე ეროვნული ფასეულობების დაცვის საქმეში.

დიდება და მადლობა ღმერთს ბატონი გრიგორის მოვლინებისათვის, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მან თავისი ვალი პირნათლად აღასრულა და წარსდგა უფლის წინაშე, ბოლომდე დაიხარჯა. მისი გარეგნობაც ყოველთვის იყო საოცრად ასაკეტური, ბერული, იგი შეყვარებული იყო გრიგოლ ხანცთელზე და მე მახსოვს, როგორ მოგვითხრობდა იმ ბედნიერ განცდაზე, როდესაც იგი ბრძანდებოდა ხანცთაში და იქ ღვთისმსახურებაში მონაწილეობდა.

ღმერთმა გაახაროს მისი უკვდავი სული, ხოლო ნათესავმან მისმან დაიმკვიდროს ქვეყანა. ღმერთმა დალოცოს ყველა, ვინც შეეხო ბატონ გრიგორს ცხოვრებაში, მიიღო მისგან სიკეთე და ამას არ ივინყებს და ლოცულობს მისი უკვდავი სულისათვის.

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ წაიკითხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნათარქი ილია II-ის სამძიმრის წერილი:

„ბატონ გრიგორ ფარულავას გარდაცვალების გამო“

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ როდესაც ათასობით ეკლესია დაიკეტა და სასულიერო პირთა უდიდესი ნაწილი დახვრიტეს, ან ჩვეულ ცხოვრების წესს ჩამოაშორეს, უნივერსიტეტი იყო ის ერთადერთი ადგილი, რომელიც ახალგაზრდებს სულიერებას აზიარებდა და მათ მზერას ღვთისკენ მიმართავდა.

ბატონ ლევან მენაბდესთან, ბატონ რევაზ სირაძესთან და ქალბატონ ლაურა გრიგოლაშვილთან ერთად, ბატონი გრიგორი ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის იმ პედაგოგთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ეს მისია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დიდ მასწავლებელთაგან იტვირთეს და უღელი ბოლომდე ერთგულად ზიდეს.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ათასობით ახალგაზრდაში (სხვებთან ერთად) სწორედ მათ გააღვივეს რწმენა და ქრისტიანული ღირებულებების მსახურების სურვილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ 1978 წლიდან ახალგაზრდობა მოაწყდა ეკლესიას, ეს მათი დამსახურებაც იყო.

აღვაგვლინთ ლოცვებს ბატონი გრიგორის უკვდავი სულისათვის, რათა უფალმა საგანესა მართალთა და ანსოს იგი. ხოლო მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ყოფილ სტუდენტებს, მიანიჭოს მშვიდობა და ღვთის გზით დაუბრკოლებელი სვლის უნარი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.
15 აგვისტო, 2020 წელი.

რედაქტორი – გივი შეყილაძე

მოადგილეები – ასმათ ჯიქია, დეკანოზი იოანე ბარკალაია

პასუხისმგებელი მდივანი – სალომე გოგინაშვილი

კორექტორები – ხათუნა პატაშვილი, თამთა გრიგალაშვილი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – თამთა გრიგალაშვილისა და გიორგი მაისურაძისა.

სარედაქციო კოლეგია: დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი), ედიშერ ჭელიძე, სერგო ვარდოსანიძე, ნინო მელიქიშვილი, ლილა გეგუჩაძე, ირაკლი ორუნი, მარიამ თოფურია, ლელა ხაჩიძე, შორენა ფარქოსაძე, თამთა ფარულავა.